ადამიანის სხეული

საშუალო დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

ადამიანის შინაგანი ორგანოები

შინაარსი

ადამიანის ორგანოების შეთანხმებულად

მუშაობა 3

გული 5

დასკვნა 12

ადამიანის ორგანოების შეთანხმებულად მუშაობა

გახსოვთ, ვთქვით, რომ ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო ტვინია?

ისიც ვთქვით, რომ ადამიანის სხეული მანქანას ჰგავს, რადგან ყველა ნაწილი შეთანხმებულად მუშაობს.

ადამიანის ორგანოების შეთანხმებულად მუშაობაზე პასუხისმგებელია **ტვინი.** კიდევ ერთი, ძალიან მნიშნელოვანი ორგანოა - **გული.**



გული

გული სხეულის სისხლით მომარაგებაზეა პასუხისმგებელი. თუ სხეულის ყველა უჯრედმა სისხლი არ მიიღო, ადამიანი ვერ იცოცხლებს.



გული განუწყვეტლივ მუშაობს და არასდროს ისვენებს. მაშინ, როდესაც გვძინავს და სხვა კუნთები ისვენებენ, გული კიდევ უფრო ძლიერად განაგრძობს მუშაობას.

გული ძალიან ძლიერი კუნთისგან შედგება და თავისი აგებულებით ოთხოთახიან ბინას შეიძლება შევადაროთ.



სიგრძეზე გული მარჯვენა და მარცხენა გულად იყოფა, სიგანეზე კი - წინაგულად და პარკუჭებად.



გულის ნაწილები ერთმანეთთან არის დაკავ-შირებული. გულთან ასევეა დაკავშირებული ადამიანის სხეულის ყველაზე მსხვილი სისხლ-ძარღვი **აორტა.**

აორტა უშვებს ორგანიზმში ჟანგბადით და საჭირო ნივთიერებებით სავსე სისხლს.



გული ისეთი ძლიერია, რომ მას ტუმბოს ადარებენ. ის დაუღალავად ტუმბავს სისხლს და ამარაგებს მთელ ორგანიზმს.



თუ ხელს მუშტად შეკრავ, შენი მუშტი დაახლოებით შენი გულისხელა იქნება.



გული ზომით დიდი არაა, მაგრამ ორგანიზმში სისხლის მთელ მოცულობას, 5 ლიტრ სისხლს, 1 წუთში გადატუმბავს. აი, ასეთი ძლიერი ორგანოა გული.

მეტიც, თუ ვივარჯიშებთ ან სადმე გაქცევა დაგვჭირდება, ჩვენ ფიზიკურად ვიტვირთებით. ამ დროს გული 20 ლიტრ სისხლს გადატუმბავს ერთ წუთში.

თუ გვინდა, რომ გულისცემას მოვუსმინოთ, შეგვიძლია მარჯვენა მაჯა მარცხენა ხელის

თითებით ავიღოთ, ან პირიქით. თითებზე ვიგრძნობთ რიტმულ დარტყმებს. ეს ჩვენი გულისცემაა.

ზრდასრული ადამიანის გული წუთში 60-70-ჯერ ურტყამს. ასეთ 60 დარტყმას ერთად **პულსი** ჰქვია. გული ძლიერი ორგანოა, მაგრამ თან ძალიან ფაქიზი და მგრძნობიარეა.

სხვა ორგანოებივით, გული ტვინთან არის დაკავშირებული. გული სისხლით და ჟანგბადით კვებავს ტვინს.



დასკვნა

გულს მოფრთხილება სჭირდება. ბევრი ნერვიულობა, მოწევა, ღამისთევა გულისთვის განსაკუთრებით მავნეა. თუ გულისცემა შეწყდება, ადამიანი ძალიან მალე კვდება. გული ველარ აწვდის ტვინს სისხლს და ჟანგბადს და ტვინიც ითიშება. ამიტომ ეძახიან გულს სხეულის ძრავას.